

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



**საიას საჩივრის საფუძველზე
საქართველოს ხელისუფლებამ
ევროპული სასამართლოს წინაშე
პაციენტის სიცოცხლის უფლების
დარღვევა აღიარა**

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) საჩივრის საფუძველზე, სახელმწიფომ პაციენტის სიცოცხლის უფლების

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



დარღვევა აღიარა. ევროპული სასამართლოს 2014 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილების თანახმად საქმეში **□□□□□□□□** საქართველოს წინააღმდეგ **□** (საჩივარი N67813/11), გიორგი ძეგნიაურს არ აღმოუჩინეს სათანადო სამედიცინო მკურნალობა, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია. დანაშაულის გამო ექიმების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დამდგარა.

საიამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს 2011 წლის 7 ოქტომბერს მიმართა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევის დადგენა მოითხოვა. მომჩივანი, გარდაცვლილის დედა, ე-ნ ჟანა ძეგნიაური, აცხადებდა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო შპს სამკურნალო კომბინატის სათანადო და უსაფრთხო ფუნქციონირება, რის შედეგადაც 2005 წლის 9 აპრილს, ნაღვლის ბუშტზე ჩატარებული ოპერაციისა და პოსტ-ოპერაციულ პერიოდში არასათანადო მკურნალობის შედეგად, გიორგი ძეგნიაური გარდაიცვალა. პაციენტის მკურნალობაზე პასუხისმგებელი ექიმების მიმართ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით) დაიწყო, თუმცა, გამოძიების ხელოვნურად გაჭიანურების და მასში არსებული ხარვეზების გამო, ექიმებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრათ.

2013 წლის 4 ივნისს ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოს საჩივრის თაობაზე აცნობა და ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის ფარგლებში პოზიტიური ვალდებულების შესრულების შესახებ ახსნა-განმარტების წარდგენა მოსთხოვა. სახელმწიფომ მომჩივანს მეგობრული მორიგების პირობები, ხოლო შემდგომ ცალმხრივი დეკლარაცია წარუდგინა: სახელმწიფომ აღიარა შპს სამედიცინო კომბინატის ფუნქციონირების ხარვეზები და გიორგი ძეგნიაურის სიცოცხლის მოსპობის ფაქტზე გამოძიების ნაკლოვანებები, რამაც სახელმწიფოს მე-2 მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულებების დარღვევა გამოიწვია. სახელმწიფომ მომჩივანს მატერიალური და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 7000 ევროს გადახდა შესთავაზა.

მომჩივანმა მიიღო სახელმწიფოს მიერ მე-2 მუხლის დარღვევის აღიარება, მაგრამ ზიანის ფულადი თანხით ანაზღაურებაზე პრინციპული უარი განაცხადა. ვინაიდან ექიმების პასუხისმგებლობის დასაყენებლად ხანდაზმულობის ვადა გასულია, მომჩივანი დაეცრდნობა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას, რათა ეროვნულ დონეზე გიორგი ძეგნიაურის სიცოცხლის მოსპობის გამოძიებაზე პასუხისმგებელი გამოძიებლებისა და პროკურორების ბრალეულობა დადგინდეს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ადამიანის უფლებათა დარღვევის სისტემურ პრობლემას - სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს სათანადო სამედიცინო სერვისების მიწოდებას, ხოლო პაციენტის უფლებათა დარღვევის მსხვერპლთათვის (სისხლის სამართლის დანაშაულის არსებობის შემთხვევაშიც), სამართლებრივი დაცვის მექანიზმები არაეფექტურად ფუნქციონირებს.

საია აქტიურად ითანამშრომლებს საქართველოს ხელისუფლებასთან და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტთან, რათა გადანაცველით ეფექტურად დაინერგოს ეროვნულ დონეზე ჯანდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დასაცავად.